

შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
---	---

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	21
4. შემოსავალი რეალიზაციიდან	22
5. თვითღირებულების ხარჯები	22
6. ადმინისტრაციული ხარჯები	22
7. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	23
8. მოგების გადასახადი	23
9. ძირითადი საშუალებები	24
10. მარაგები	25
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
13. მიღებული სესხები	26
14. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	26
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	27
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
18. პირობითი ვალდებულებები	32
19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	32
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32
21. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება	32

მმართველობის ანგარიშგება	33
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის ხელმძღვანელებს და მეწილეებს,

პირობითი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის (შემდგომში კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია მომზადების საფუძვლების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორებად ჩვენ დავინიშნეთ 2019 წლის 12 აგვისტოს და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ გვქონდა შესაძლებლობა დავკვირვებოდით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას. კომპანიის მარაგების ღირებულება მისი აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგეს. კომპანიის მარაგების ხასიათიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ აღნიშნულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა მარაგებთან და მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. აგრეთვე, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნული კოდექსით არის განსაზღვრული. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

სხვა გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა. შესაბამისად ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება ეხება 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოადგენს, შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის

გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ◆ ვახორციელებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებას. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- ◆ შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ◆ ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- ◆ დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. აუდიტორის დასკვნაში ვალდებულები ვართ, რომ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება

გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ◆ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)

შპს „ემდიემ კონსალტინგის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი 2019 წელი

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	15,759,448	14,362,610
თვითღირებულების ხარჯები	5	(10,959,513)	(9,661,070)
საერთო მოგება		4,799,935	4,701,540
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3,277,269)	(2,346,865)
საოპერაციო მოგება		1,522,666	2,354,675
ფინანსური შემოსავალი	7	23,411	24,321
ფინანსური ხარჯი	7	(1,046,278)	(734,992)
მოგება დაბეგვრამდე		499,798	1,644,004
მოგების გადასახადის ხარჯი	8	-	-
წმინდა მოგება		499,798	1,644,004
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც არ უნდა იქნას			
კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში მომდევნო			
პერიოდებში			
ძირითადი საშუალების გადაფასები რეზერვი	9	6,577,965	-
სხვა სრული შემოსავალი		6,577,965	-
მთლიანი სრული შემოსავალი		7,077,763	1,644,004

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ქეთევან ბეთანელი

ფინანსური დირექტორი

რუსუდან ღვინიაშვილი

11 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	15,297,480	8,335,538
არამატერიალური აქტივები	10	2,503	2,836
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,299,984	8,338,374
მოკლევადიანი აქტივები			
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		352,218	48
მარაგები	10	710,409	531,548
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	5,729,741	5,325,343
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	192,143	105,198
სულ მიმდინარე აქტივები		6,984,512	5,962,137
სულ აქტივები		22,284,495	14,300,511
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		607,074	607,074
ძირითადი საშუალების გადაფასები რეზერვი	9	6,577,965	-
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		1,961,266	2,416,468
სულ კაპიტალი		9,146,305	3,023,542
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	9,009,337	8,083,307
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,009,337	8,083,307
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	14	225,567	130,616
მიღებული სესხები	13	249,165	563,371
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	3,654,122	2,499,674
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,128,854	3,193,661
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,284,495	14,300,510

11 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	9,222,341	772,464	-	9,994,805
წლის სრული შემოსავალი	-	1,644,004	-	1,644,004
ინვესტიცია საკუთარ კაპიტალში	523,811	-	-	523,811
საკუთარი კაპიტალის შემცირება	(9,139,078)	-	-	(9,139,078)
2017 წლის 31 დეკემბერი	607,074	2,416,468	-	3,023,542
წლის სრული შემოსავალი	-	499,798	6,577,965	7,077,763
გამოცხადებული დივიდენდი	-	(955,000)	-	(955,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	607,074	1,961,266	6,577,965	9,146,305

11 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		499,798	1,644,005
კორექტირებები:			
ცვეთა	9,10	1,237,269	992,883
საპროცენტო შემოსავალი	7	(2,814)	
საპროცენტო ხარჯი	7	1,029,841	
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,764,093	2,636,888
მარაგების ზრდა		(178,861)	(127,385)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(404,398)	(1,932,155)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		802,277	747,607
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		94,951	(31,508)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,078,063	1,293,447
გადახდილი პროცენტები		(1,029,841)	
გადახდილი დივიდენდი		(955,000)	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,093,222	1,293,447
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,627,395)	(1,459,049)
მიღებული პროცენტები		2,814	
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,624,581)	(1,459,049)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვა		-	(8,615,267)
სესხის მიღება		1,791,950	8,646,679
მიღებული სესხის დაფარვა		(1,180,127)	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		611,823	31,412
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		80,463	(134,190)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		105,198	239,389
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		6,482	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		192,143	105,199

11 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ დაფუძნდა 2016 წლის 06 ივნისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 404514762, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, უზნაძის ქ., № 103. კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა (ს.კ 404413087), რომლის დამფუძნებლები არიან: თამაზ ჩხიკვაძე (პ/ნ 01030007667) – 15%, თეიმურაზ ხუროძე (პ/ნ 01017000380) – 5%, ზაზა ნიშნიანიძე (პ/ნ 01017003730) – 80%. დამფუძნებელი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე არის თეიმურაზ ხუროძე (პ/ნ 01017003730).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვა-სხვადასხვა ტიპის სამედიცინო მომსახურების გაწევა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებების მუხლის ნაწილისა. კომპანიამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეაფასა მიწისა და შენობების ჯგუფი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2018

წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შესწორება

შესწორების თანახმად, კომპანიას მოეთხოვება ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარადგინოს წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც მოიცავს როგორც მონეტარულ, ასევე არამონეტარულ ცვლილებებს.

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის 28 მაისს გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ (2017 წლის 1 იანვარი) ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ

ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას ორგანიზაციის რისკის მართვის ზომების ხასიათს. გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები ორგანიზაციის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტის სავალდებულო გამოყენება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული სტანდარტების გამოყენების მოსალოდნელ გავლენას

მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში შეფასების და წარსადგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2018	31.12.2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან

გამომგებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შეძენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემული სესხებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.

მოთხოვნებისა და გაცემული სესხების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის

შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან:

- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- სხვა ფინანსური ვალდებულებები

ინდივიდუალურ ფინანსურ ინფორმაციაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მიღებული სესხებით და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით.

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.6 სამედიცინო შემოსავლები

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიას სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სადაზღვევო კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით.

2.7 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან

მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავლში მისაღები სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.7 სხვა შემოსავალი

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.8 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.9 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.10 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება

განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს, 2017 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.11 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა

და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობის ჯგუფისა. მიწისა და შენობა-ნაგებობის ჯგუფი წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარ აქტივთა კომპონენტები აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვეთის ნორმები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი ცვეთის ნორმები

შენობები	2%
სამედიცინო და სხვა დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სხვა	20-50%

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.12 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. აქტივის (ან ფულადი სახსრების

წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.13 მარაგები

კომპანიის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო (FIFO) მეთოდით.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანიის მარაგები შედგება სამედიცინო მედიკამენტებისგან და სახარჯი მასალებისგან. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება ფიფო (FIFO) მეთოდით.

2.14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.15 ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას

იმდევრიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.16 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა, რომლის თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

4. შემოსავლები რეალიზაციიდან

შემოსავალი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	15,442,435	14,062,732
შემოსავლები იჯარიდან	301,726	294,590
სხვა საოპერაციო შემოსავლები	15,287	5,288
სულ:	15,759,448	14,362,610

5. თვითღირებულების ხარჯები

თვითღირებულების ხარჯები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მასალების და ნედლეულის თვითღირებულების ხარჯები	3,355,572	3,168,584
სამედიცინო მომსახურების სხვა ხარჯი	78,510	26,252
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	6,457,740	5,653,052
დასუფთავების/დეზინფექციის ხარჯი	128,307	122,068
ლაბორატორიის მომსახურების ხარჯი	840,543	663,657
თვითღირებულების სხვა ხარჯები	98,841	27,457
სულ:	10,959,513	9,661,070

6. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
არაპირდაპირი ხელფასი	867,569	644,691
საოფისე და საკანცელარიო ხარჯი	38,913	90,314
მიმდინარე რემონტი	165,774	196,951
ცვეთა და ამორტიზაცია	1,237,269	992,883
რეკლამის ხარჯი	34,709	-
დაცვის ხარჯი	1,620	591
იჯარის ხარჯი	30,488	30,218
კომუნიკაციის ხარჯი	10,022	8,193
კომუნალური ხარჯი	376,670	312,468
სხვა საგადასახადო ხარჯი	8,368	9,525
აუდიტორული და სხვა საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	25,353	18,472
ბანკის საკომისიო	7,539	4,829
სხვა საერთო ხარჯი	472,976	37,730
სულ:	3,277,269	2,346,865

7. ფინანსური ხარჯი

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	1,029,841	675,210
არასაოპერაციო ზარალი		57,174
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		468
სხვა ჯარიმები და საურავები	16,437	2,140
სულ ფინანსური ხარჯი:	1,046,278	734,992

ფინანსური შემოსავალი

	2018
საპროცენტო შემოსავალი	2,814
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	6,482
სხვა ფინანსური შემოსავალი	14,115
სულ ფინანსური შემოსავალი:	23,411

8. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. 2017 და 2018 წლებში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილია ზემოაღნიშნული მოდელის საფუძველზე გაცემული დივიდენდის დაბეგვრით. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	სამედიცინო და სხვა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ:
ბალანსი 2017 წლის 01 იანვარი	660,000	4,764,198	2,199,129	206,753	356,190	143,163	8,329,433
შემოსვლა	-		1,496,004	37,467	11,384	26,766	1,571,621
გასვლა	-	-	(155,282)			(150)	(155,432)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	660,000	4,764,198	3,539,850	244,220	367,574	169,779	9,745,622
შემოსვლა	-		1,555,884	30,664	13,967	21,349	1,621,863
გასვლა	-	-	(950)	-	-	-	(950)
გადაფასება (31.12.2018)	6,780,948	(816,213)	-	-	-	-	5,964,735
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	7,440,948	3,947,985	5,094,784	274,884	381,541	191,128	17,331,271

დაგროვილი ცვეთა

ბალანსი 2017 წლის 01 იანვარი	-	(136,564)	(224,295)	(22,106)	(39,469)	(37,961)	(460,395)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(238,333)	(555,264)	(45,118)	(72,877)	(80,958)	(992,550)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	42,798	-	-	62	42,860
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	-	(374,897)	(736,761)	(67,224)	(112,346)	(118,857)	(1,410,085)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(238,333)	(817,751)	(51,895)	(75,169)	(53,788)	(1,236,936)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
გადაფასება (31.12.2018)		613,230	-	-	-	-	613,230
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(1,554,512)	(119,119)	(187,515)	(172,645)	(2,033,791)

წმინდა საბალანსო ღირებულება

ბალანსი 2017 წლის 01 იანვარი	660,000	4,627,634	1,974,834	184,647	316,721	105,202	7,869,038
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	660,000	4,389,301	2,803,089	176,996	255,228	50,922	8,335,537
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	7,440,948	3,947,985	3,540,272	155,765	194,027	18,483	15,297,480

სს „ბაზისბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის დ.კაკაბაძესა და შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის“ (ს/კ 404514762) დირექტორს ქ.ბეთანელს შორის 2017 წლის 30 მარტს გაფორმებული №30.03/002-17 იპოთეკური ხელშეკრულების თანახმად კლინიკის მიერ იპო თევით დატვირთულ იქნა ქ.თბილისი, ქუჩა უზნაძე №103, 5 908,0 კვმ შენობა-ნაგებობები. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.08.009.002. ანუ იპოთეკით დატვირთული იქნა შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის“ კუთვნილი მთლიანი მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებთან ერთად. კრედიტებისა და გარანტიების მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრა 15 000 000,0 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარი ან კონვექტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტი.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კომპანიამ მიწისა და შენობების ჯგუფი შეაფასა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. ძირითადი საშუალებების შეფასებისას შემფასებლის მიერ გამოყენებულ იქნა საბაზრო (გაყიდვების შედარების მიხედვით) მიდგომა. შეფასების პროცესში შემფასებლებმა გამოიყენეს ანალოგები, რომელთა ღირებულებების კორექტირება მოხდა შესაფასებელ ობიექტებსა და ანალოგებს შორის განსხვავებების გათვალისწინების მიზნით. შეფასებულ ღირებულებაში გათვალისწინებულია დაშვებები, რომელიც უკავშირდება შენობის ფიზიკურ, ფუნქციურ და ეკონომიკურ მოძველებას.

10. მარაგები

მარაგები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
სამედიცინო მედიკამენტები და სხვა სახარჯი მასალა	710,408	526,879
ნედლეული და მასალები	-	4,670
სულ:	710,408	531,549

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	5,696,375	5,303,013
სხვა მოთხოვნები	33,366.20	22,330
სულ ფინანსური მოთხოვნები	5,729,741	5,325,343

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	124,585	66,885
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	62,143	33,500
ნაღდი ფული	5,415	4,813
სულ:	192,143	105,198

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

13. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	31.12.2018	31.12.2017
ზაზა ნიშნიანიძე	ლარი	-	44,300
სს ბაზის ბანკი	ლარი	245,000	500,000
ფინანსური იჯარა-შპს "ემტეი"	ლარი	4,165	19,071
სულ:		249,165	563,371

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	31.12.2018	31.12.2017
			-
სს ბაზის ბანკი	ლარი	2,955,519	3,678,299
სს თიბისი ბანკი	ლარი	5,820,888	4,135,068
ფინანსური იჯარა-შპს "ემტეი"	ლარი	232,929	269,940
სულ:		9,009,336	8,083,307

კომპანიის მიერ სს ბაზის ბანკისგან და სს თიბისი ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებულია რეფინანსირების განაკვეთთან (საპროცენტო განაკვეთი: 4.25%+რეფინანსირების განაკვეთი). ასევე, მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებულია რეფინანსირების განაკვეთთან (საპროცენტო განაკვეთი: 3.5%+რეფინანსირების განაკვეთი).

14. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 225,567 და 130,616 ლარის საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისად.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო ვალდებულებები	2,771,275	302,766
გადასახდელი ხელფასები	876,468	447,144
სხვა ვალდებულებები	6,379	1,749,764
სულ ვალდებულებები	3,654,122	2,499,674

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,729,741	5,325,343
ფული და ფულის ექვივალენტები	192,143	105,198
სულ ფინანსური აქტივები:	5,921,885	5,430,541
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	9,258,501	8,646,678
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,654,122	2,499,674
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,912,623	11,146,352

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - გაცემული და მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება

შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	31.12.2018
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	67,558	93,213	31,372	192,143
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,729,741	-	-	5,729,741
სულ ფინანსური აქტივები	5,797,299	93,213	31,372	5,921,885
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,654,122	-	-	3,654,122
მიღებული სესხები	9,258,501	-	-	9,258,501
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,912,623	-	-	12,912,623
წმინდა სავალუტო პოზიცია	(7,115,324)	93,213	31,372	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 25%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 25% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

31.12.2018	ლარი/დოლარი 25%	ლარი/დოლარი -25%	ლარი/ევრო 25%	ლარი/ევრო -25%
მოგება/ზარალი	7,843	(7,843)	23,303	(23,303)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული ან გაცემული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5,729,741	5,325,343	3,393,188
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	192,143	105,198	239,389
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	5,921,885	5,430,541	3,632,577

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	სულ:
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,654,122	-	3,654,122
მიღებული სესხები	249,165	9,009,337	9,258,502
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,903,287	9,009,337	12,912,623

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2018 წელი	2017 წელი	2016 წელი
დირექტორი	90,000	45,000	21,250
დამფუძნებლები	178,768	127,498	69,676
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	268,768	254,371	124,445

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები საანგარიშგებო

პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

21. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს.

შპს “ალექსანდრე აღადაშვილის სახელობის
კლინიკა”



მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 1 იანვარი - 2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება.....	3
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	35
შესავალი.....	36
წარდგინება დირექტორისგან	36

საქმიანობის მიმოხილვა

კლინიკის მოკლე ისტორია.....	36
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერ.....	38
საქმიანობის ძირითადი არაფინანსური და ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა	39
კლინიკის განვითარების გეგმებისა და ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	41
რისკ-ფაქტორები	41
ქონებრივი დანაშაული.....	41
თაღლითობა.....	42
ინფორმაციული უსაფრთხოება.....	42
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა.....	42
შრომისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის შესახებ.....	42
სამუშაო ადგილებზე კლინიკის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოდ საქმიანობა.....	43
კორუფციასთან ბრძოლა.....	43

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“-ს მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის მმართველობის მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს.

მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მმართველობის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი მმართველობის ანგარიშგებაში;
- მოამზადოს მმართველობის ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ასს-ების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 27 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ქეთევან ბეთანელი
27 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
რუსუდან ღვინიაშვილი
27 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კლინიკასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კლინიკის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია კლინიკის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, წარმოგიდგენთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს ქმნიან საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კლინიკაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

წარმოგიდგენთ შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის“ მმართველობის ანგარიშგებას, რომლის მიზანია ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად გავზარდოთ არსებული ბიზნესი და თვალსაჩინო გავხადოთ კლინიკის საქმიანობის სპექტრი.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში“ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კლინიკის მოკლე ისტორია


შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკამ (ს/კ 404514762) ფუნქციონირება დაიწყო 2016 წლის 28 ივნისს, კომპანიის 100% წილის მფლობელი, რეზიდენტი საწარმო შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა (ს/კ 404413087), რომლის დამფუძნებლებიც არიან შემდეგი ფიზიკური პირები: თეიმურაზ ხუროძე 5%, თამაზ ჩხიკვაძე 15% და ზაზა ნიშნიანიძე 80%.

კლინიკის ისტორია კი 1880 წლიდან იწყება. სამხედრო უწყებამ თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცა შენობა, სადაც ფუნქციონირება დაიწყო ალექსანდრეს საავადმყოფომ. თავდაპირველად საავადმყოფო 30 საწოლზე იყო გაშლილი, შემდგომ საწოლების რიცხვი 55-მდე გაიზარდა. მათ შორის 25 საწოლი იყო უფასო – მუნიციპალური. 1912 წელს საავადმყოფო კვლავ გაფართოვდა და საწოლების რიცხვი 120-მდე გაიზარდა.

სავადმყოფოს განაგებდა მთავარი ექიმი. შტატი შედგებოდა ფერმლების მომვლელი ქალებისა და მსახურებისაგან.

- 1919 წელს ეწოდა ქალაქის №2 საავადმყოფო.
- 1934 წლიდან, რეკონსტრუქციის შემდეგ, მან ფუნქციონირება განაგრძო, როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების №2 კლინიკური საავადმყოფო.
- 1988 წლიდან საავადმყოფო საკუთრებაში გადაეცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს.
- 1992 წლის დეკემბერში კლინიკა დაფუძნდა როგორც თსსუ სტრუქტურული ერთეული და ეწოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკად. ალ.ალადაშვილის სახელობის №1 კლინიკა.

- 2009 წლიდან ეწოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკად. ალ.ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა.
 - 1941 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრა განთავსდა თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომისჯანმრთელობის დაცვის განყოფილების II საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ბაზაზე და მას ხელმძღვანელობდა პროფესორი ეფრემ ზაქარაია (1940-1947); შემდგომ – პროფესორი დავით იოსელიანი (1947-1967), პროფესორი მიხეილ ჩაჩავა (1967-1979), პროფესორი გიორგი (გოგი) ბოჭორიშვილი (1979-1981), პროფესორი გივი გონჯილაშვილი (1981-1999); 1999 წლიდან დღემდე ჯერ ზოგადი ქირურგიის კათედრის და 2009 წლიდან ზოგადი ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი არის სრული პროფესორი თამაზ ჩხიკვაძე.
 - 1921 წლის 30 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით ალექსანდრეს საავადმყოფოს ბაზაზე დაარსდა სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფესორი ალექსანდრე ალადაშვილი.
 - 1922 წელს პროფესორ ალ. ალადაშვილის ინიციატივით საავადმყოფოს ბაზაზე ფუნქციონირებდა ფტიზიატრიული ამბულატორია, რამაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა ტუბდისპნოსისა და ფტიზიატრიის ინსტიტუტის შექმნას.
 - 1927 წელს კლინიკის ბალნეოლოგიური განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
 - ამავე წელს პროფესორ ალ. ალადაშვილის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტს.
- თერაპიის კათედრას (დღეს კერძო თერაპიის დეპარტამენტი) სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდნენ: აკად. ალ.ალადაშვილი (1921-1950), პროფესორები: ნიკოლოზ ყიფშიძე (1950-1952), კონსტანტინე ვირსალაძე (1952-1954), თადეოზ მამალაძე (1954-1956), ვლადიმერ გერსამია (1956-1957), მემონ კანდელაკი (1957-1968), სერგო კობალაძე (1968-1971), ვახტანგ ალადაშვილი (1971-1986), გურამ რცხილაძე (1986-1995). 1995 წლიდან 2012 წლამდე კერძო თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო პროფესორი ნოდარ ემუხვარი.



საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კლინიკის ძირითად საქმიანობას საზოგადოებრივი ჯანდაცვა წარმოადგენს, სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, მთლიანი საოპერაციო შემოსავლის 98% შეადგენს, დანარჩენი 2% პროცენტი კი იჯარიდან მიღებულ შემოსავალს მიეკუთვნება.

არსებობის 3 წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, ჩვენი ცნობადობის გაზრდის შედეგად ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი დავიკავეთ, რაც შემდეგით არის განპირობებული: კლინიკის ადგილმდებარეობა, მულტიპროფილური მიმართულებები და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება.

ჩვენს კლინიკაში დანერგილია შემდეგი ქირურგიული პროფილის სამედიცინო მიმართულებები:

- ზოგადი ქირურგიის მიმართულება;
- ტრავმატოლოგია-ორთოპედიის მიმართულება;
- ყბა-სახის ქირურგიის მიმართულება;
- ნეიროქირურგიის მიმართულება;
- ანგიოქირურგიის მიმართულება;
- გინეკოლოგიის მიმართულება;
- კარდიოქირურგიის მიმართულება;
- ოფთალმოლოგიის მიმართულება;
- ონკოლოგიური ქირურგიის მიმართულება, ქიმიო და ჰორმონოთერაპია ხოლო, რაც შეეხება თერაპიული პროფილის, წარმატებით ვახორციელებთ ჩვენს საქმიანობას შემდეგი სამედიცინო მიმართულებებით:
- შინაგანი მედიცინა;
- კარდიოლოგია, მათ შორის კარდიო ინვაზია და არითმოლოგია;
- ნევროლოგია.
- კლინიკის უაღრესად მნიშვნელოვანი რგოლია, კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი, რომელიც თავის მხრივ აერთინებს გადაუდებელი დახმარებისა და ზოგადი რეანიმაციის განყოფილებებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა კლინიკა სთავაზობს პაციენტებს ყველა ტიპის ამბულატორიულ და ლაბორატორიულ კვლევებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსგან მიღებული გვაქვს შემდეგი ლიცენზიები:

სანებარვთო მოწმობა N000817	სტაციონარული დაწესებულების ნებართვა
სანებარვთო მოწმობის დანართი N003792	რეანიმაცია
სანებარვთო მოწმობის დანართი N003797	გადაუდებელი სამედიცინო სახმრება - EMERGENCY
სანებარვთო მოწმობის დანართი N003787	ქირურგიული პროფილის საქმიანობა
სანებარვთო მოწმობის დანართი N003788	ნეიროქირურგია
სანებარვთო მოწმობის დანართი N003791	ონკოლოგია

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სანებარვთო მოწმობის დანართი N003796	რადიოლოგიური საქმიანობა- კომპიუტერიულ-ტომოგრაფიული კვლევა
სანებარვთო მოწმობის დანართი N003789	რადიოლოგიური საქმიანობა- რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა
სანებარვთო მოწმობის დანართი N003794	ინტერვენციული კარდიოლოგია
სანებარვთო მოწმობის დანართი N003793	ოტორინოლარინგოლოგია
სანებარვთო მოწმობის დანართი N003790	ოფთალმოლოგია
სანებარვთო მოწმობის დანართი N003795	ორგანოების და ქსოვილების ადება, შენახვა, გადანერგვა
სალიცენზიო მოწმობა N000029	პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია
სალიცენზიო მოწმობის დანართი N000041	ჰისტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა
სალიცენზიო მოწმობის დანართი N000042	ციტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური და ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

2018 წლის განმავლობაში კლინიკას მიმართა 11 392 პაციენტი, ხოლო 2017 წელს 10 136 - პაციენტი. კლინიკის შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან მიმართულებების მიხედვით შემდეგია:

	2018	პროცენტული მაჩვენებელი	2017	პროცენტული მაჩვენებელი
ქირურგიული მიმართულებები	5,818,977	38%	5,051,757	36%
თერაპიული მიმართულებები	4,004,164	26%	4,316,882	31%
კრიტიკული მედიცინა	4,027,582	26%	3,798,847	27%
ამბულატორია	1,507,033	10%	773,581	5,5%
სხვა სამედიცინო საქმიანობა	84,679	1%	121,665	0,5%
სულ	15,442,435	100%	14,062,732	100%

კლინიკა მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა კერძო სადაზღვევო კომპანიებთან, ასევე გამგებებთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, თუმცა კლინიკის მიერ მიღებული პაციენტების უდიდესი ნაწილი, 2018 და 2017 წლის მონაცემების მიხედვით ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული სამი ძირითადი დადგენილების მიხედვით. ჯამში 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდომარებით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პაციენტების წილი სრული სამედიცინო შემოსავლიდან 73% შეადგენს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თვითღირებულების დანახარჯებმა 10,959.513 ლარი შეადგინა, რაც სრული შემოსავლის 69.5% შეადგენს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თვითღირებულების დანახარჯებმა 9,661,070 ლარი შეადგინა, რაც სრული შემოსავლის 67% შეადგენს. შესაბამისად კლინიკის მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა დანახარჯების ოპტიმიზაცია, ისე, რომ სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხი იყოს შენარჩუნებული.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში“ დასაქმებულია დაახლოებით 500-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კლინიკა არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კლინიკის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლია ნობაა, რომელთა გამოვლენას კლინიკა ცდილობს ადეკვატური ანაზღაურებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ შრომის ანაზღაურების დანახარჯი 7,325,310 ლარია, რაც სრული რეალიზაციის 46%-ს შეადგენს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ შრომის ანაზღაურების დანახარჯი 6 297 743,0 ლარია, რაც სრული რეალიზაციის 45%-ს შეადგენს.

კლინიკა საქმიანობას აფინანსებს ბანკიდან მიღებული სესხებით, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ჩვენი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება 9,009,336 ლარს შეადგენს. 2017 წლის დასრულებული წლისთვის ჩვენი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება 8 083 307,0 ლარს შეადგენდა. კლინიკის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს და თანამშრომლობს სხვადასხვა საბანკო დაწესებულებებთან, მუდმივად ხდება საპროცენტო განაკვეთების გადახედვა და შეფასება ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიხედვით.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
მთლიანი აქტივები	22,284,495	14,300,511	11,908,947
საკუთარი კაპიტალი	9,146,305	3,023,542	9,994,805
მთლიანი ვალდებულებები	13,138,190	11,276,968	1,914,143

კომპანიის საქმიანობის შედეგების ამსახველი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	2018	2017
საოპერაციო შემოსავალი	15,759,447	14,362,610
საოპერაციო ხარჯები	(14,236,782)	(12,007,935)
საოპერაციო მოგება	1,522,665	2,354,675
წმინდა მოგება	499,798	1,644,004

კომპანიის ძირითადი საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა შემდეგია (ლარში):

	2018	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(7,325,310)	(6,297,743)
მარაგების ხარჯი	(3,355,572)	(3,168,584)
ცვეთა	(1,237,269)	(992,883)
სხვა ხარჯები	(2,318,632)	(1,548,725)

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

საოპერაციო მოგების მარჟა - 2018 წელი - 9.66% - 2017 წელი - 16.39%

(საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

წმინდა მოგების მარჟა - 2018 წელი - 3.17% - 2017 წელი - 11.459%

(წმინდა მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

EBITDA – 2018 წელს - 18% - 2017 წელს - 23%

(წმინდა მოგება + საპროცენტო ხარჯი + მოგების გადასახადის ხარჯი + ცვეთა)/საოპერაციო შემოსავალი

უკუგება კაპიტალზე (ROE) – 2018 წელი 19.46% - 2017 წელი - 54.37%

კლინიკის განვითარების გეგმებისა და ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ 2016 წლიდან აქტიურად ზრდის სამედიცინო მომსახურების არეალს და ორიენტირებულია მედიცინაში არსებული სიახლეების დანერგვაზე. სამომავლოდ დაგეგმილია ნეოროქირურგიული და ანგიოქირურგიული მიმართულებების გაფართოება, ინვაზიური ჩარევების დანერგვის გზით.

კლინიკას ქვეყნის ტერიტორიაზე რაიმე სახის ფილიალი დაფუძნებული არ აქვს და უახლოეს მომავალში არ გეგმავს ფილიალების დაფუძნებას.

რისკ-ფაქტორები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 18).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

კლინიკის ძირითადი ფინანსურ რისკს წარმოადგენს სოციალური ფონი და შესაბამისად გადახდის უუნარო პაციენტები, ასევე სამედიცინო თუ სხვა სახის დავები იმ სტრუქტურებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ კლინიკის პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. თავის მხრივ მენეჯმენტი მუდმივად აფასებს საექმო მოთხოვნებს და ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას დავების ან გარიგებების გზით.

გამომდინარე იქიდან, რომ კლინიკის შემოსავლები პირდაპირ დამოკიდებულია მაღალკვალიფიციურ სამედიცინო პერსონალზე, დღევანდელ ბაზარზე არსებული მაღალკონკურენტული გარემო, გარკვეულ რისკებს ქმნის თანამშრომლების - მაღალკვალიფიციური ექიმების გადაბირების კუთხით. კლინიკის მენეჯმენტი ამ პრობლემას თანამშრომლების მაღალი ანაზღაურებით და უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს არსებობით არეგულირებს.

ქონებრივი დანაშაულების აღკვეთის შესახებ

კლინიკის სამედიცინო მომსახურების ნაღდი ანგარიშსწორების საღაროს საშუალებით ყოველდღიურად სრულდება ასობით ტრანზაქცია. დღის ბოლოსათვის საფრთხეს წარმოადგენს მასში დაგროვილი ფულის ინკასაციის პერიოდამდე თანხის შენახვა, თუმცა უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეულის გაძლიერებით შესაძლებელი გახდა მსგავსი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა.

თაღლითობასთან ბრძოლის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მრავალფეროვანი ხდება დანაშაულის სახეებიც, ქონებრივი ზიანი შესაძლოა დადგეს თაღლითობის და მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად.

ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის შესახებ

21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და „ფიშინგის“ მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად კლინიკა არ ივიწყებს მოსალოდნელ თავდასხმის მცდელობებს და კლინიკის მასშტაბით ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს აწესებს. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კლინიკისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები, ამას გარდა ყველა თანამშრომელი უზრუნველ ყოფილია მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, როგორ მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო მასშტაბური კიბერ შეტევების მიუხედავად შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკას“ არც ერთხელ არ შეხებია მავნე ვირუსი, რომელიც კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაციის დაზიანებას ან გაჟონვას გამოიწვევდა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის შესახებ

კლინიკა ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა.

ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმია ნობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კლინიკა მიმა რთავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტი ურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

შრომისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის შესახებ

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის“ მიმართ არასოდეს აღმრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კლინიკა აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კლინიკის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განვითარებისათვის ყველა თანა მშრომელს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ კლინიკა მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სამუშაო ადგილზე კლინიკის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოდ საქმიანობის შესახებ

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კლინიკის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლის შესახებ

კლინიკის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კლინიკა მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა.

ამ სფეროს დასარეგულირებლად შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომლის მიერ კლინიკაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ქეთევან ბეთანელი
27 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
რუსუდან ღვინიაშვილი
27 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ♦ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)

შპს „ემდიემ კონსალტინგის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი 2019 წელი



შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	15,759,448	14,362,610
თვითღირებულების ხარჯები	5	(10,959,513)	(9,661,070)
საერთო მოგება		4,799,935	4,701,540
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3,277,269)	(2,346,865)
საოპერაციო მოგება		1,522,666	2,354,675
ფინანსური შემოსავალი	7	23,411	24,321
ფინანსური ხარჯი	7	(1,046,278)	(734,992)
მოგება დაბეგვრამდე		499,798	1,644,004
მოგების გადასახადის ხარჯი	8	-	-
წმინდა მოგება		499,798	1,644,004
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც არ უნდა იქნას კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში მომდევნო პერიოდებში			
ძირითადი საშუალებების გადაფასები რეზერვი	9	6,577,965	-
სხვა სრული შემოსავალი		6,577,965	-
მთლიანი სრული შემოსავალი		7,077,763	1,644,004

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი		ქეთევან ბეთანელი
ფინანსური დირექტორი		რუსუდან ღვინიაშვილი

11 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“-ს მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის მმართველობის მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს.

მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მმართველობის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი მმართველობის ანგარიშგებაში;
- მოამზადოს მმართველობის ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.


ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ასს-ების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 27 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:


დირექტორი
ქეთევან ბეთანელი
27 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო


ფინანსური დირექტორი
რუსუდან ღვინიაშვილი
27 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სამუშაო ადგილზე კლინიკის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოდ საქმიანობის შესახებ

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კლინიკის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.


კორუფციასთან ბრძოლის შესახებ

კლინიკის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კლინიკა მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა.


ამ სფეროს დასარეგულირებლად შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომლის მიერ კლინიკაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი
ქეთევან ბეთანელი
27 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



ფინანსური დირექტორი
რუსუდან ღვინიაშვილი
27 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო